პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 144 (12960) | კვირა, 21 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.





სურათებზე: მარცხნივ — მოწინავე მეჩაიე შ. ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთი, სოფელი ნიგოითი) ყოველდღიურად კრეფს 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს და სამ-ოთხმაგად ასრულებს გეგმას; მარჯვნივ — ნამჯის შეკანიზებული ალება (სიღნაღი, სოფელი ჯაფარიძე).

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ხუთი თვის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ შეასრულა 102,8 პროცენტით, აქედან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოებმა — 108,3 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ — 108,9 პროცენტით და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებმა — 97,8 პროცენტით. გეგმის ზევით გამოშვებულია მილიონობით მანეთის პროდუქცია. საანგარიშო პერიოდში გადაჭარბებით შესრულდა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახეობის წარმოების დავალებანი. მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა გადამეტებით შეასრულეს რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნებმა, მანქანათმშენებლობის და ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის სამმართველოებმა. ქიმიურის მარგანეცის ტრესტმა, ტრესტებმა „ტყვარჩელქვანახშირმა“, „ტყიბულქვანახშირმა“, „საქჩაიმ“, „სამტრესტმა“ და „საქპურკონდიტერმა“, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საწარმოებმა და სხვ.

წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის ბაზაზე ათვისებული და გამოშვებულია მთელი რიგი ახალი სახის სამრეწველო პროდუქცია.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და საკავშირო „სპეცმონტაჟმშენის“ ორგანიზაციებმა წარმატებით დაამთავრეს ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში ორი დახურული ელექტროღუმელის მშენებლობა.

შრომის ნაყოფიერების ხუთი თვის გეგმა მრეწველობაში შესრულებულია 102,3 პროცენტით.

გეგმის ზევით გამოშვებული მთელი პროდუქციის 75 პროცენტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

მცირდება ისეთი საწარმოთა რიცხვი, რომელთაც დაგეგმილი ჰქონდათ ზარალი და სახელმწიფო დოტაციის იღებდნენ.

რესპუბლიკის საწარმოებში, ლაბორატორიებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში ფართოდ არის გაშლილი შემოქმედებითი მუშაობა მანქანებისა და მოწყობილობის ახალი კონსტრუქციებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება-დანერგვისათვის.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდმა ნაწილმა დროულად და ხარისხიანად ჩაატარა ჩაის პლანტაციების გადაბარვა, გასხვლა, ნარგავების სასუქების შეტანა, ბაღებისა და ვენახების საგაზაფხულო დამუშავება და სხვ.

დადგენილ ვადებში და ხარისხიანად ტარდება ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთება. წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა. მიმდინარე წლის 18 ივნისისათვის მოკრეფილია 82605 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმა 10 ივნისისათვის შესრულებულია 90,5 პროცენტით.

ამაღლდა ავტოტრანსპორტის გამოყენების კოეფიციენტი, შემცირდა ტვირთის გადაზიდვის თვითღირებულება.

განვითარდა და გაძლიერდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სულ უფრო მეტად ინერგება მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების პროგრესული ფორმები, ფართოვდება საქონლის ასორტიმენტი და უმჯობესდება მისი ხარისხი.

გადიდდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ქსელი, წარმოიშვა მომსახურების ახალი სახეობები და ფორმები.

წარმატებით სრულდება სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ სამუშაოთა გეგმები.

ამასთან ერთად, გასული ხუთი თვის მანძილზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობაში, განსაკუთრებით კი მშენებლობაზე ადგილი ჰქონდა რიგ არსებით ნაკლოვანებებს.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების გეგმა მთლიანად გადაჭარბებით არის შესრულებული, პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის დავალება ვერ შეასრულეს: მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის, ხის დამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოებმა, სატყეო მეურნეობის და ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს საწარმოებმა და სხვ. სახალხო მეურნეობის საბჭოს 550 საწარმოდან 90 საწარმომ, ანუ 16,4 პროცენტმა, არ შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა, რის შედეგადაც სახალხო მეურნეობას დაკაკლდა 9.028 ათასი მანეთის პროდუქცია.

არ შესრულდა მინერალური სასუქების, მსხვილი ელექტრომანქანების, სპეციალური ლითონსაჭრელი ჩარხების, მაგნიტრალური ელმავლების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, საკედლე პანელების, ბამბის ქსოვილების, ქრომის ტყავსაქონლის, ავეჯის, ერბო-კარაქის, ყველის და კვების სხვა პროდუქტების წარმოების გეგმები.

მსუბუქი მრეწველობის და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისას არღვევდნენ გეგმით გათვალისწინებულ ასორტიმენტს და მთელ რიგ შემთხვევებში უშვებდნენ არადამაკმაყოფილებელი ხარისხის პროდუქციას.

ჯერ კიდევ მაღალია მუშახელის დენადობა.

ჩამორჩენას აქვს ადგილი საგაზაფხულო კულტურების თესვის, თამბაქოს რგვის, ხეხილის ბაღებისა და ვენახების გაშენების გეგმის შესრულების საქმეში.

გასული ხუთი თვის მანძილზე სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის საერთო მოცულობა შესრულებულია 76,5 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 87 პროცენტით.

მნიშვნელოვნად ჩამორჩება საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა (73,3 პროცენტი).

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ ვერ უზრუნველყვეს საცალო საქონლისბრუნვის გეგმის შესრულება.

საქონლისბრუნვის ხუთი თვის გეგმა შესრულებულია 95,7 პროცენტით, მათ შორის კოოპერაციულ ვაჭრობაში — 96,4 პროცენტით.

დიდია ზენორმატიული ნაშთების დაგროვება სამრეწველო საწარმოებში, სავაჭრო საბითუმო ბაზებსა და საცალო სავაჭრო ქსელში.

საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებული დონე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას, განსაკუთრებით სოფლად.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევენ სკოლამდელი, სასკოლო, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა მშენებლობას, არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს სამშენებლო ობიექტების მუშახელით უზრუნველყოფისათვის. ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში ჯერ კიდევ არასაკმარისია დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და აქტივის მონაწილეობა სახალხო მეურნეობის გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებას და გაატაროს ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად უზრუნველყოს 1964 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ქიმიური მრეწველობის სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სათანადო სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოებს აღმასკომებს შეიმუშაონ და განახორციელონ სამინაო და კომუნალური მშენიბლობის, სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დაწესებულ ვადებში საექსპლოატაციოდ გადაცემის ღონისძიებანი.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს უზრუნველყონ დეპუტატების, მუდმივი კომისიების და ფართო აქტივის მონაწილეობა სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში. ადგილობრივი საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი თვითეულ ჩამორჩენილ საწარმოსა და მშენებლობაზე არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ:

ა) სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის, განსაკუთრებით მინერალური სასუქების, მაგნიტრალური ელმავლების, სპეციალური ლითონსაჭრელი ჩარხების, ასაკრეფი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ბამბის ქსოვილებისა და სხვა პროდუქციის გამოშვებაში არსებული ჩამორჩენის მიზეზების ლიკვიდაციას, ახლად ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეთა სრულ ათვისებას;

ბ) პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და ასორტიმენტის გაუმჯობესებას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას, განსაკუთრებით მსუბუქ და კვების მრეწველობაში;

გ) საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მუშახელის დენადობის და მისი ზეგეგმური მოცდენების ლიკვიდაციას და შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, „საქსოფლტექნიკას“, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს:

ა) მიიღონ ზომები საგაზაფხულო კულტურების თესვის, თამბაქოს რგვის და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) გააძლიერონ მუშაობა მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისათვის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში; დროულად ჩაატარონ ყველა სახის აგროტექნიკური ღონისძიებანი დასუსტებული ვენახებისა და ხეხილის ბაღების გაჯანსაღებისათვის, ყურძნის და ხილის მაღალი მოსავლის მოსალიდად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და მის ქვემდებარე სამშენებლო ორგანიზაციებს მიიღონ ქმედითი ზომები, რათა აუცილებლად შესრულდეს მშენებლობის, ავრეთვე ძირითადი ფონდებისა და სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემის 1964 წლისათვის დაწესებული პროგრამა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ 1964 წლის საქონლისბრუნვის გეგმის შესრულება; სერიოზული ყურადღება დაუთმონ ჩაწოლილი და ჩამოფასებული საქონლის გაყიდვის ორგანიზაციას.

7. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ და განახორციელონ სამინაო და კომუნალური მშენიბლობის, სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დაწესებულ ვადებში საექსპლოატაციოდ გადაცემის ღონისძიებანი.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს უზრუნველყონ დეპუტატების, მუდმივი კომისიების და ფართო აქტივის მონაწილეობა სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში. ადგილობრივი საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მდგომარეობა და დასახონ სათანადო კონტროლი ამ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე. მიიღონ სათანადო ზომები სამშენებლო ობიექტების მუშახელით უზრუნველყოფისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბჭოების დეპუტატთა ავანგარდულ როლს საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების წინაშე მდგომ ამოცანათა გადაწყვეტის საქმეში. ფართოდ განაზოგადონ მოწინავე დეპუტატების და მუდმივი კომისიების მუშაობის დადებითი გამოცდილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო რწმინას გამოთქვამს, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები, სამინისტროები და უწყებები, რესპუბლიკის მშრომელები ძალღონეს არ დაიშურებენ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიდ საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

განვამტკიცოთ ყველა ხალხის მეგობრობა

კოპენჰაგენი, 20 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). 1964 წლის 19 ივნისს ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვა წარმოთქვა კოპენჰაგენში „დანია-სსრ კავშირის“ საზოგადოებისა და სტუდენტთა გაერთიანების კრებაზე, მისი სიტყვის დამთავრების შემდეგ დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა რამდენიმე შეკითხვა მისცეს საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

ქვემოთ, მოგვაქვს კრების მონაწილეთა კითხვები და ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი.

კითხვა: როგორი აფასებთ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის ერთიანობის დამყარების შესაძლებლობას იმ საუბრების შემდეგ, რომლებიც უკანასკნელ ხანს გქონდათ საფრანგეთის, ინგლისისა და სკანდინავიის სოციალ-დემოკრატთა ლიდერებთან?

ნ. ს. ხრუშჩოვი: შემიძლია მოკლედ მოგახსენოთ, მაგალითად, იმის შესახებ, თუ რა საუბრებია მოსაყვანი სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის თანამშრომლობას მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხებში. მშვიდობისათვის ბრძოლაში უნდა გავაერთიანოთ კომუნისტების, სოციალ-დემოკრატების, ყველა კეთილი ნების ადამიანის ღონისძიებანი. ჩვენი პარტია მუშათა კლასის ყველა რაზმისა და ორგანიზაციის მოქმედების ერთიანობის მოხრეა. ასეთი ერთიანობა უდიდეს როლს ასრულებს მშრომელთა ბრძოლაში თავიანთი საარსებო უფლებებისათვის, სოციალური პროგრესისათვის.

კითხვა: როგორია პერსპექტივა უახლოეს ხანში კონფერენციის მოწვევისა უმაღლეს დონეზე?

ნ. ს. ხრუშჩოვმა უხმოდ აიჩეჩა მხრები. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში).**

ა. ა. გრომიკო: თარგმნა საჭირო არ არის. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში).**

ნ. ს. ხრუშჩოვი: არ შემიძლია მარტო მე ვილაპარაკო სხვა ქვეყნების მთავრობათა მეთაურების მაგივრად. ეს თამამი განცხადება იქნებოდა. ამიტომ თვითონ გეკმოთ, თუ როგორ მიეჩის პასუხის გაცემა. მე მინდა მხოლოდ ჩემი სახელით, საბჭოთა მთავრობის სახელით ვთქვა, რომ ასეთი შეხვედრები სასარგებლოდ მიგვაჩნია. **(ტაში).**

კითხვა: დასავლეთ ხალხი გაცხოველებით განიხილავს იმ საკითხს, რომ დანია უატომო და ნეიტრალურ ზონად გამოცხადდეს. რა გარანტიები შეუძლია გამოაცხადოს საბჭოთა კავშირმა მშვიდობის ასეთი ზონის მიმართ?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩვენ იმის დიდი მომზრენი ვართ, რომ საჭიროა როგორღაც, რომელიღაც ტერიტორიიდან დავიწყოთ თერმოატომური იარაღისაგან გაწმენდა. ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა გამოთქვეს ასეთი სურვილი. მიმაჩნია, რომ ეს გონივრული საქმეა.

ქვეყანა, რომელიც თავის თავს უატომო სახელმწიფოდ აცხადებს და, რომელსაც ყველა ქვეყანა ცნობს, როგორც უატომო სახელმწიფოს, იმ უპირატესობას იძენს, რომ, თუ ომი დაიწყო, მის ტერიტორიაზე ატომური ბომბები არ ჩამოვარდება. ვფიქრობ, რომ ეს პატარა უპირატესობა არ არის. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

წარმოიდგინეთ ასეთი მაგალითი. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამერიკის წყალქვეშა ნავები, რომლებიც ატომური იარაღით — „პოლარისის“ რაკეტებით არის აღჭურვილი, დაბანაკებული არიან ინგლისის სამხედრო-საზღვაო ბაზებში. რა შეიძლება გამოიწიოს ამან? „პოლარისის“ რაკეტება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული. ბუნებრივია, ჩვენ ვსწავლობთ, თუ სადა აქვთ ბაზები ამ რაკეტებით აღჭურვილ წყალქვეშა ნავებს. უნდა ვთქვა, რომ ჩვენ, შესაძლოა, კიდეც ვიცით ზოგიერთი რამ იმის შესახებ, თუ სადა აქვთ ბაზები ამ წყალქვეშა ნავებს. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).**

ვფიქრობ, ბატონებო, იცით, რომ მსოფლიოში თითქმის არ არის საიდუმლოებანი. ხშირად ყველაზე დაფარული საიდუმლოებასაც კი შეიტყობენ ხოლმე ისინი, ვისაც ამ საიდუმლოებას უმალავენ. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).**

გთხოვთ სწორად გამიგოთ: როდი ვეუბრები ინგლისს. მაგრამ რაკი ინგლისმა მიიღო ამერიკული რაკეტები, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ არის მომართული, ჩვენ, რა თქმა უნდა, ატომური იარაღით აღჭურვილი ჩვენი რაკეტების შესაბამისი ულუფა განვსაზღვრეთ. რადგან ომის დაწყების შემთხვევაში მაშინვე დავკრათ „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავების ბაზებს და მწყობრიდან გამოვიყვანოთ ისინი.

—ეფიქრობ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თუ რაა ნიშნავს ეს.

ის ქვეყნები, რომლებიც უარს ამბობენ ატომურ იარაღზე, უარს ამბობენ დაუთმონ თავიანთი ტერიტორია ასეთი იარაღის ბაზების შექმნისათვის და თავის თავს უატომო სახელმწიფოდ აცხადებენ, დანარჩენმა სახელმწიფოებმა სამხედრო კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში უნდა ცხონ ისეთ სახელმწიფოებად, რომლებიც არ მონაწილეობენ ატომურ ომში. საბჭოთა კავშირი სიამოვნებით დაიდებდა ასეთ ალიანსს და მკაცრად დაიცავდა თავის ვალდებულებას, თუ სხვა ატომური სახელმწიფოები ასეთსავე ვალდებულებას იკისრებენ. **(ტაში).**

კითხვა: მზად არის თუ არა საბჭოთა კავშირი თავისი ჩრდილოეთ ეკიპის ტერიტორია უატომო ზონას მიაკუთვნოს?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩვენ მზად ვართ ჩვენი ქვეყნის არა მარტო ჩრდილოეთი ნაწილის ტერიტორია, არამედ საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორია მივაკუთვნოთ უატომო ზონას, თუ, რა თქმა უნდა, ატომური იარაღის მქონე სხვა ქვეყნები ასეევე მოიქცევიან. **(მქუხარე ტაში).**

კითხვა: როგორ გესმით თქვენ იდეოლოგიური თანაარსებობა და შესაძლებელი იქნება თუ არა იგი ოდესმე?

ნ. ს. ხრუშჩოვი: კითხვა ნათელია, მაგრამ არც თუ ადვილი. მე მტკიცედ მწამს, რომ დადგება ისეთი დრო, როცა ყველა ადამიანს, ყველა ხალხს ერთი იდეოლოგია ექნება. მაშინ მშვიდობისა და შრომის სუფევა მოვა. ეს მაშინ მოხდება, როცა აღარ იქნებიან ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი, აღარ იქნებიან დაპირისპირებული კლასები. მაშინ აღარ იქნება ურთიერთდაპირისპირებული იდეოლოგიები და ადამიანები მეგობრები და მტრები იქნებიან, ყველა ეცდება მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვროს სხვებთან. ეს დრო დადგება. როდის მოხდება ეს? ეს მაშინ მოხდება, როცა დედამიწაზე კომუნიზმი გიმარჯვებს! **(ტაში).**

მინდა განვმარტო, რატომ მიმდინარეობს ახლა იდეოლოგიური ბრძოლა. რადგან არსებობს საზოგადოება, რომელიც შედგება დაპირისპირებული კლასებისაგან, თვითეულ კლასს აქვს თავისი იდეოლოგია, იცავს მას, ცდილობს გაბატონებული გახადოს თავისი იდეოლოგია საზოგადოებაში. ერთი კლასის იდეოლოგია იბრძვის მეორე კლასის იდეოლოგიის წინააღმდეგ. განა შეიძლება რომელიმე იდეოლოგიამ ნებაყოფლობით დათმოს თავისი პოზიციები, შეწყვიტოს ბრძოლა მეორე, დაპირისპირებული კლასის იდეოლოგიის წინააღმდეგ? არა. თუ, მაგალითად, ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ უარი თქვა ბრძოლაზე კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ, ჩვენ მივიჩნევდით, რომ ეს ყველაზე გონივრული გადაწყვეტილებაა და მივესალმებოდით მას. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).** მაშინ იქნებოდა ერთიანი იდეოლოგია, ყველაზე სამართლიანი, კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც გამოხატავს ყველა მშრომელის ინტერესებს, აღიარებს ყველა ხალხის თანასწორ უფლებებს. რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი, რა შეიძლება იყოს უფრო სამართლიანი, ვიდრე კომუნიზმია!

მაგრამ ჯერ ყველას როდი ესმის ეს. მიმდინარეობს მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა, და იგი გაგრძელდება მანამდე, სანამ სამართლიანი და ყველაზე პროგრესული კომუნისტური იდეოლოგია გასაგები იქნება ხალხებისათვის და ყველა ადამიანთა ერთიანი იდეოლოგია გახდება. მე ეს მწამს, ისევე როგორც მწამს, რომ დადგება ხვალინდელი დღე — გაბატონდება კომუნისტური იდეოლოგია!

ამიტომ წინააღმდეგობას ნუ უწევთ სამართლიან იდეოლოგიას, კომუნისტურ იდეოლოგიას, შეუერთდით მას, გაერთიანდით, და მაშინ ეს დრო უფრო მალე დადგება. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).**

კითხვა: არის თუ არა კუბის კრიზისის მოწესრიგება იმის გამოხატულება, რომ საბჭოთა კავშირი ცნობს, რომ კუბა შეერთებული შტატების ინტერესების სფეროს მიეკუთვნება პოლიტიკური თვალსაზრისით თუ არა, სამხედრო თვალსაზრისით მაინც?

ნ. ს. ხრუშჩოვი: არა. გადაჭრით არა! უნდა ვთქვა, რომ ქვეყნების დაყოფა ზეგავლენის სფეროებად — ეს იმპერიალიზმის პოლიტიკაა. და ყველაზე პირწავარდნილი კოლონიური პოლიტიკაა. ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ ასეთი პოლიტიკისა. ყველა ქვეყანა — მცირე და დიდი ქვეყნები უნდა სარგებლობდნენ მშვიდობის სიკეთით. ყველა ქვეყანა უნდა სარგებლობდეს პატივისცემითა და სუვერენიტეტის უფლებებით, — ყველა ქვეყანა, როგორც დიდი, ასევე მცირე ქვეყნები! თუ ასე ვემსჯელებთ, რომ კუბა პატარა ქვეყანაა, და ამიტომ იგი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, უნდა ეკუთვნოდეს ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენის სფეროს, მაშ რა უნდა ვუყოთ ჩვენს მეზობლებს, რომლებიც აგრეთვე მცირე ქვეყნები არიან? **(გამოცოცხლება, სიცილი დარბაზში).** არა. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ქვეყნების დაყოფისა ზეგავლენის სფეროებად. **(ხანგრძლივი ტაში).**

ასეთ თვალსაზრისს თუ დავადექით, რომ დიდ ქვეყანას უნდა ჰქონდეს რაღაც განსაკუთრებული უპირატესობანი მცირე ქვეყნების მიმართ და იგი უნდა ჩაერიოს ამ ქვეყნების სამნაო საქმეებში, პატივი არ სცეს მათს სუვერენიტეტს, — ეს იმას ნიშნავს, რომ გზა გავუხსნათ ომს სახელმწიფოთა შორის. ჩვენ კი გადაჭრით ვიბრძვით სახელმწიფოთა შორის ასეთი უსამართლო ომების წინააღმდეგ, მუდამ ვახორციელებთ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

კითხვა: რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დანიაში ყოფნის დროს?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება, რაც შემექმნა დანიაში ყოფნის დროს, და როგორც ჩანს, მთელ სიცოცხლეში გამყყვანა, ეს არის ის, რომ დანია შესანიშნავი ქვეყანაა! რა ლამაზად მოგიწყვიათ იგი, რა მშვენიერი მინდვრები გაქვთ, რა გარდა არიან ისინი დამუშავებული! როცა ხედავ ყოველივე ამას, ხედავ თქვენი ხალხის შრომის შესანიშნავ ნაყოფს, — აღფრთოვანებული ხარ ამით და ქედს იხრი. მე კარგი აზრისა ვიყავი თქვენს ქვეყანაზე წინათაც, როცა ჯერ არ მეწყინა დანია. მე ვიცნობდი დანიას ლიტერატურის, კინოფილმების მიხედვით. ახლა ჩემი ცოდნა პირადი შთაბეჭდილებებით შეივსო. და უნდა გითხრათ, რომ ამ შთაბეჭდილებებმა ჩემს მოლოდინს დაგააჭარბა. მე დამრჩება უაღრესად ღრმა, უაღრესად ძლიერი შთაბეჭდილებანი დანიაში ყოფნის შესახებ, თქვენი შესანიშნავი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე ხალხის შესახებ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ფოტოკორესპონდენტთა კითხვა: ძალიან ხომ არ გიშლიდით ხელს თქვენი ვიზიტის დროს? **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ნ. ს. ხრუშჩოვი: მე პატივს ვცემ ყველა ადამიანის პატიოსან შრომას და ამიტომ პატივისცემით ვეკიდები ფოტოკორესპონდენტთა შრომას, მე ვეტყოდი, ძნელ შრომას. ჟურნალისტებს ოდესღაც ჩემი თანამგზავრები ვუწოდეთ. ისინი სრულიადაც არ მიშლიდნენ ხელს. წარმატებებს ვუსურვებ მათ მუშაობაში.

დრო, რომელიც გამომიყვეს კითხვებზე პასუხის გასაცემად, უკვე ამოიწურა. მე ვუპასუხე ყველა კითხვაზე, რომლებიც წამიყითხეს. ამიტომ გთხოვთ ნურავითარ პრეტენზიას ნუ წამოიყენებთ.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველაქ დამსწრეს იმისათვის, რომ მოთმინებით მოისმინეს ჩემი სიტყვა და კითხვებზე პასუხი.

გმადლობთ ყურადღებისათვის! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან და მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს).**

ნ. ს. ხრუშჩოვი დანიაში

△ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-დანიის ერთობლივ კომუნიკეს △ საბჭოთა მთავრობის მეთაურის საჩუქარი

კოპენჰაგენი, 20 ივნისი. (საკდესი). დღეს უკვე მეხუთე დღეა, რაც დანიაში იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. დღევანდელი დღე კოპენჰაგენის ბირჟის დათვალიერებით დაიწყო. ბირჟის დიდ დარბაზში ნ. ს. ხრუშჩოვს ელოდნენ პრემიერ-მინისტრი ვ. ო. კრაგი, საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ჰეკერუპი, ვაჭრობის მინისტრი ჰ. ბაუსგორდი, სასოფლო-სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარე ა. ანდერსენი, დანიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს მისასალმებელი სიტყვით მიმართა დანიის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ კ. საუმანმა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა საპასუხო სიტყვა წარმოთქვა. შეკრებილთა წინაშე.

ნაშუადღევს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-დანიის ერთობლივ კომუნიკეს. საბჭოთა კავშირის მხრივ კომუნიკეს ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, დანიის მხრივ — დანიის პრემიერ-მინისტრმა ვ. ო. კრაგმა.

დარბაზში გაისმა მქუხარე ტაში, როცა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაამთავრა თავისი სიტყვა. კ. საუმანმა დამსწრეთა სახელით გულითადი მადლობა უძღვნა საბჭოთა მთავრობის მეთაურს საინტერესო სიტყვისათვის.

სტუმრები და მასპინძლები გადიან მეზობელ დარბაზში, სადაც გაიმართა მეგობრული საუბარი. (საკდესი).

კოპენჰაგენი, 20 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). ნ. ს. ხრუშჩ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ჩაქვისა და სამტრედიის რაიონების ცენტრების გადატანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19 და 21 მუხლებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 7 აპრილის გრძანებულება „ჩაქვისა და სამტრედიის რაიონების ცენტრების გადატანის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 19 და 21 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოლნისის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თელავის, თიანეთის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სარჩერის, სიღნაღის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩობატაურის, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წულუკიძის, წყალტუბოს, ხაშურის სასოფლო და მარნეულია სამრეწველო რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, ბორჯომის, გორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, კასპის, რუსთავის, სამტრედიის, ტყიბულის, ფოთის, ქუთაისის, წყალტუბოსა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

„მუხლი 21. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: ქედის, ქობულეთის, ხულოს რაიონებისაგან და ქალაქების: ბათუმისა და ქობულეთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.
თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სანუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 3 მარტის გრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.
თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ ზოგიერთი სამინისტროს რესპუბლიკური სამინისტროდან საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 და 56 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 20 მარტის გრძანებულება:

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“.

„საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 და 56 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 55. საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებია:
ვაჭრობისა;
თევზეცვლისა;
კავშირგაბმულობისა;
კულტურისა;
საგარეო საქმეთა;
სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებისა;
ფინანსთა;
წყალთა მეურნეობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა.

მუხლი 56. საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროებია:
განათლებისა;
კომუნალური მეურნეობისა;
მშენებლობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა;
სოციალური უზრუნველყოფისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.
თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54 მუხლის დამატების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 აპრილის გრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54 მუხლის დამატების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.
თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის გრძანებულება „ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.
თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის გრძანებულება „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.
თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შეჩერების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის გრძანებულების მე-2 და მე-15 პუნქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის გრძანებულება „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შეჩერების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის გრძანებულების მე-2 და მე-15 პუნქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.
თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, დეპუტატ გ. დ. ჯაფარიძის საგოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის გეგმის შესრულების ხუთი თვის შედეგების განხილვას მეტად ღრმა და შინაარსიანი ხასიათი ჰქონდა. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გამოთქვეს საკმაოდ საინტერესო აზრები, შემოიტანეს მთელი რიგი საყურადღებო წინადადებანი და შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება შემდგომ მუშაობაში ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარებას. ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება შევჩერო რამდენიმე საკითხზე, რომელიც დაყენებული იყო სესიაზე დეპუტატების მიერ.

დეპუტატმა ხვედელიანმა დააყენა საკითხი საბავშვო ტანსაცმლის წარმოების შესახებ. ამხ. ხვედელიანის შენიშვნები მართლაც საგულისხმოა, საჭიროა იქნება სახალხო მეურნეობის საბჭომ და ეკონომიკის სამინისტრომ უმოკლეს დროში დაიზუსტონ ამ პროდუქციის გამოშვებისა და გასაღების ზოგიერთი საკითხი, გამოიტანონ საბოლოო დადგენილება და მოაგვარონ ეს საქმე.

ქალაქ თბილისის აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ გამოთქვა აზრი ქალაქის კეთილმოწყობისა და საბინაო მშენებლობისათვის 1964 წელს დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ. ეს საკითხი უდავოდ საგულისხმოა და უახლოეს ხანში სეროიზული განხილვის საგანი გახდება. დეპუტატებმა ალბათ იციან, რომ თბილისის საბჭოს აღმასკომი წარმატებით ახორციელებს ამ დანიშნულებით უკვე გამოყოფილი სახსრების ათვისებას. ყურადღების ღირსია აგრეთვე ამბ. მელაძის მიერ დასმული საკითხი ქალაქის მეურნეობის განვითარებაში სახალხო მეურნეობის საბჭოს, სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობის შესახებ. როგორც ცნობილია, კახინმდებლობით ნებადართულია საწარმოთა ზეგეგმიური მოგების 30-პროცენტიანი ანარიცხებიდან სახსრების გამოყენება კომუნალური ობიექტების მშენებლობისა და გაფართოებისათვის, სამწუხაროდ, ზოგიერთ უწყებათა ხელმძღვანელები ასეთ ღონისძიებათა განხორციელებისაგან თავს იკავებენ და ცდილობენ სხვა მიმართულებით გამოიყენონ ეს სახსრები. ამიტომ ეფიქრობ საჭიროა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და სხვა უწყებებთან ერთად განიხილონ ეს საკითხი და წარმოადგინონ წინადადებანი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ობიექტების განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის, ამ თანხების გამოყენების შესახებ.

დეპუტატმა ბუაჩიძემ, სხვა საკითხებთან ერთად, დააყენა საკითხი ახალი სასკოლო შენობების მშენებლობისა და მათი საიჭპოლოტაციოდ გადაცემის შესახებ. მოგახსენებთ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1966-1970 წლებში სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ წინადადებების პროექტში გაითვალისწინა სასკოლო მშენებლობის საგრძნობი ზრდა, რაც უზრუნველყოფს სკოლებში მრავალ ცვლად მეცადინეობის მკვეთრად შემცირებას. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, სასკოლო მშენებლობის გეგმა ცუდად სრულდება. ამიტომ ახლა მთავარი ის არის, რომ განათლების სამინისტრომ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭომ, საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ სასკოლო მშენებლობაზე გამოყოფილი სახსრების მთლიანად ათვისებისა და ახალი სასკოლო შენობების დროულად საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

დეპუტატმა ბუაჩიძემ დააყენა აგრეთვე საკითხი საშუალო სკოლებში მათემატიკური საგნების სწავლების გაუმჯობესების შესახებ. ამ მხრივ უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა. განათლების სამინისტრომ უკვე განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რამაც გარკვეული დადებითი შედეგი გამოიღო. მაგრამ ჩვენს საშუალო სკოლებში მათემატიკური დისციპლინების სწავლების საქმე კიდევ უფრო გაღრმავებულ შესწავლას საჭიროებს.

დეპუტატმა შარტავამ, მთელ რიგ საკითხთა შორის, აღძრა საკითხი ქალაქ სოხუმში მეექვსე სამშენებლო ტრესტისათვის მექანიზაციის ბაზის მშენებლობის დაფინანსების შესახებ. ეს მშენებლობა გეგმით გათვალისწინებულია და დაფინანსების საქმეში არსებული შეფერხებანი განხილულ და ლიკვიდირებულ უნდა იქნას მშენებლობის სამინისტროსა და მშენებლობის ბანკის მიერ.

რაც შეეხება მთავარიანი პირობებისათვის სპეციალური გუთნების წარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღმანქანების სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საკითხებს, მოგახსენებთ, რომ მომდინარე წლის გეგმებით სახალხო მეურნეობის საბჭოს დაკალებული აქვს აღნიშნული გუთნების წარმოება 3.000 ცალის რაოდენობით, ხოლო „საქსოფლტექნიკას“ — სათადარიგო ნაწილებით მომხმარებელთა უზრუნველყოფა. ვფიქრობ, სახალხო მეურნეობის საბჭო და „საქსოფლტექნიკა“ ყველა ღონისძიებას განახორციელებენ ამ მეტად პასუხსაგები დავალების მთლიანად შესრულებისათვის.

დეპუტატმა ხომიზურაშვილმა ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საკითხებზე. ეს საკითხები მეტად სერიოზულია. საჭიროა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ 1965 წლისათვის გაითვალისწინონ სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლი სპეციალური რაზმების ქსელის გაფართოება და მათი აღჭურვა აუცილებელი ტექნიკით.

დეპუტატ მამულაძის მიერ დასმული საკითხი სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკურ სისტემიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ სპეციალურად უნდა იქნას შესწავლილი.

დეპუტატმა გომელაურმა საგანგებო მართებულად დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ მშენებლობაში მყოფი და საექსპლოატაციოდ გადასაცემი მთელი რიგი ობიექტები უზრუნველყოფილი არ არიან სათანადო ტექნოლოგიური მოწყობილობით. ეს საკითხი განმეორებით იქნება შესწავლილი და განხილული:

დეპუტატმა კოპლატაძემ დააყენა საკითხი ბათუმის ელექტროკარის ახალი ქარხნის მშენებლობის გაგრძელების შესახებ. როგორც ცნობილია, საკავშირო საგეგმო კომისიის წინაშე დაყენებულია საკითხი ამ ქარხნის პროფილის შეცვლის შესახებ. ამ საქმის მოგვარების შემდეგ, სათანადოდ გადაწყდება ქარხნის შემდგომი მშენებლობის საკითხიც.

ამხანაგებო! დეპუტატებმა კიკნაძემ, გელბახიანმა, გაგლოევამ და სხვებმა დააყენეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ყველა ეს საკითხი გულდასმით იქნება განხილული და შესწავლილი სათანადო სამინისტროებისა და უწყებების მიერ. მათ მიერ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

ამხანაგებო! როგორც უკვე მოგახსენეთ, უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულების მსვლელობის განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა მთავარი ის არის, რომ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ და სხვა ორგანიზაციებმა და უწყებებმა აქ გამოთქმული ყველა შენიშვნა და წინადადება გაითვალისწინონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა თვითეულ ობიექტზე, საწარმოში, მშენებლობებზე, კომლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმატებით შესრულდეს გეგმით დასახული ყველა დავალებანი.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის მუშაკთა ენერგიული შრომით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და ადგილობრივი საბჭოების აქტიური მონაწილეობით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის გეგმის შესრულება ყველა მაჩვენებლის გადაჭარბებით.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამარჯვებულად ცნეს თბილისის ქარხანა „ბიკროძრავისა“ და რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივები.

ფულადი პრემიით დაჯილდოებულია რაციონალიზატორთა დიდი ჯგუფი. პირველი პრემია მიიღეს თბილისის კომბოილ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ნოვატორებმა ლ. ფხაკაძემ, მ. ივანოვმა, ნ. კიკვიძემ და ვ. პაშნიკოვმა, მახარაძის ამრეშუმსართავი ფაბრიკის ნოვატორებმა გ. კახაძემ, დ. სვანიძემ, კ. ნიკოლაიშვილმა, ს. გობრონიძემ და ზ. ჭეიშვილმა; თბილისის ქარხანა „მიკროძრავის“ ნოვატორებმა ს. გურმელიკოვმა, ნ. რევაზიშვილმა, გორის ბამბეულის კომბინატის ნოვატორებმა მ. კოლესნიკოვმა და ე. მუხოვამ.

(საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ზ. ა. კვაშაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამავალა მოგახსენოთ იმ გრძანებულებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია მეორე სესიის შემდეგ და რომლებიც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

მოსახლეობის უკეთ მომსახურებისა და რაიონის ეკონომიკის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 7 აპრილის გრძანებულებით გადაიტანა ჩაქვისა და სამტრედიის რაიონების ცენტრები და მათ შესაბამისად ეწოდათ ქობულეთისა და წულუკიძის რაიონები.

ამ გრძანებულების დამტკიცებასთან ერთად საჭირო იქნება სათანადო ცვლილებების შეტანა საქართველოს კონსტიტუციის 19 და 21 მუხლებში, რომლებშიც განსაზღვრულია საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ შემადგენლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგენებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გარდაქმნა სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი ორგანო.

1964 წლის 3 მარტის გრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი რესპუბლიკური ორგანოდან გარდაქმნილია საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ.

1964 წლის 20 მარტის გრძანებულებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების რესპუბლიკური სამინისტრო გარდაქმნილია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ. აგრეთვე საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტრო გარდაიქმნა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 და 56 მუხლებში, სადაც ჩამოთვლილია რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები. კანონების პროექტები დეპუტატებს დარიგებული აქვთ. გთხოვთ განიხილოთ და დაამტკიცოთ ისინი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 აპრილის გრძანებულებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54 მუხლს დამატება მეხუთე ნაწილი, რომლითაც სასამართლოებს უფლება მიენიჭათ მსჯავრდებულებს ვადამდე პირობით განთავისუფლების დროს დაადგინონ მშრომელთა გარკვეული კოლექტივი ან პირი, თუ, რა თქმა უნდა, მათი თანხმობა იქნება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმაღლობაში მეთვალყურეობა გაუწიონ ვადამდე პირობით განთავისუფლებულს და აწარმოონ მუშაობა მის აღსაზრდელად. ამ ღონისძიების მიზანია გაძლიერდეს ვადამდე პირობით განთავისუფლებულთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, ამაღლდეს კოლექტივებისა და ცალკეული პირების პასუხისმგებლობა ამ საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1964 წლის 28 იანვარს მიღებულ იქნა გრძანებულება „ამხანაგური სასამართლოების დებულებაში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ამხანაგური სასამართლოების დებულება დამტკიცებული იყო ჯერ კიდევ 1961 წლის 10 ნოემბრს.

ამ ხნის განმავლობაში ანტისაზოგადოებრივი მოვლენებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სხვადასხვა დარღვევის წინააღმდეგ ამხანაგური სასამართლოების ბრძოლის მნიშვნელოვანი გამოცდილება დაგროვდა.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ზემოაღნიშნული საკითხების განხილვა ამხანაგური სასამართლოების მიერ, მშრომელთა კოლექტივებისათვის ჩვენი კანონებისა და მორალური საფუძვლების დარღვევათა ბედის გადაწყვეტის უფლების მინიჭება ამ პირთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა.

წარსულის გადმონაშთებისა და ამორალური საქციელის ნიანაღმდეგ მარტოოდენ ადმინისტრაციული ორგანოების ბრძოლა სრულყოფილი არ იქნებოდა, ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ.

ამხანაგური სასამართლოების მთელი საქმიანობა საზოგადოებრიობის მონაწილეობის მკაფიო გაშუქებულია.

ბრძანებულებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამხანაგური სასამართლოების კომპეტენცია. იმ საკითხებს გარდა, რომლებსაც ადრე განხილავდნენ ამხანაგური სასამართლოები, მათ უფლება მიენიჭათ გადაეჭრან საკითხები პირველად ჩადენილი წვრილი ხულიგნობის, წვრილმანი სპეკულაციის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცების, მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი მცირეღირებული მოხმარების და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წვრილმანი ქურდობის შესახებ, როცა დამნაშავე და დაზარალებული ერთი კოლექტივის წევრები არიან; სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, სხვადასხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, დაზგების, ინსტრუმენტების, ნედლეულისა და სხვა ქონების პირადი მიზნებისათვის გამოყენება, თუ კი ამ მოქმედებას არ მიუყენებია არსებითი ზარალი აღნიშნული საწარმოსათვის, დაწესებულებისა ან ორგანიზაციისათვის; იმ დავის შესახებ, რომელიც შეეხება ორი და მეტი მოქალაქის ეკონომიკურ ნაგებობათა გამოყენების წესს, საკოლმეურნეო კომლის გაყოფასა და საკოლმეურნეო კომლიდან გამოყოფას, ცოლ-ქმარს შორის ქონების გაყოფას. თუ კი მოდავე მხარეები თანახმანი არიან იმისა, რომ საქმე განხილოს ამხანაგურმა სასამართლომ; პიროვნების მიერ თავისი მოვალეობისადმი არკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით გამოწვეული ინვენტარის, ინსტრუმენტების, მასალების და სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მოსპობის, დაკარგვის ან დაზიანების შესახებ, თუ კი ამას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზარალი; ხანძარსაფრთხაღმდეგო წესების დარღვევის შესახებ; საერთო სარგებლობის ადგილების რემონტისათვის საჭირო ხარჯების გადახდევინების შესახებ; ხხუბის, სხეულის მსუბუქი დაზიანების შესახებ, თუ ამას არ მოჰყოლია ჯანმრთელობის მოშლა; ავადმყოფობისადმი დახმარების გაუწევლობის, უკანონო ექიმობის, დანაშაულებრივი გზით ქონების შეძენისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედობისათვის, თუ კი ისინი არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და მიღებული, პროკურატურის ორგანოები ან სასამართლო საჭიროდ მიიჩნევენ გადასცენ ასეთი საქმე ამხანაგურ სასამართლოს განსახილველად.

ბრძანებულებით ამხანაგურ სასამართლოს უფლება მიენიჭა დამნაშავის მიმართ, წინათ გათვალისწინებულის გარდა, გამოიყენოს ზემოქმედების შემდეგი საშუალებანი: აღძრას შუამდგომლობა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წინაშე, რომ დადგენილი წესის მიხედვით გაათავისუფლონ ის პირი, რომლის მუშაობაც დაკავშირებულია არასრულწლოვანთა და ახალგაზრდათა აღზრდასთან ან რომლის მუშაობაც დაკავშირებულია მატერიალურ ფასეულობათა გამგებლობასა და მათ შენახვასთან; დაიყენოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში არაკვალიფიციურ საქმიანობა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებით გაიგზავნოს 15 დღემდე ვადით ის პირი, რომელთაც ჩაიდინეს წვრილმანი ხულიგნობა, სპეკულაცია, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, ნაკლებადღირებული პირადი მოხმარების ან საყოფაცხოვრებო საგნების ქურდობა და მიაყენეს სხეულის მსუბუქი დაზიანება.

ბრძანებულებით გათვალისწინებულია ამხანაგური სასამართლოების შექმნა იმ კოლექტივებშიც, რომლებშიც 30 კაცზე ნაკლებია. ამხანაგური სასამართლოების უფლებამოსილების ვადა გაზრდილია ერთიდან ორ წლამდე; წელიწადში ერთხელ მაინც მათ ანგარიში უნდა ჩააბარონ მშრომელთა კოლექტივის საერთო კრებას.

ამხანაგური სასამართლოების დებულებაში შეტანილია ზოგიერთი სხვა ცვლილება და დამატებაც. ისინი მიზნად ისახავენ გაუმჯობესონ ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა მშრომელთა კომუნისტურად აღზრდისათვის.

იმ მიზნით, რომ შემდგომ სრულყოფილ იქნას მუშაობა თავისუფლებაღკვეთილ მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 28 იანვრის გრძანებულებით დაადგინა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა სისტემაში მოეწყოს შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებები იმ თავისუფლებაღკვეთილ მსჯავრდებულთა მოსათავსებლად, რომლებმაც მოიხადეს სასჯელის ვადის ნაწილი და რომლებიც მტკიცედ დადგნენ გამოსწორების გზას.

დაწესდა, რომ შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში დარჩენილი სასჯელის მოსახდელად შეიძლება გადაყვანილ იქნან ის მსჯავრდებულები, რომლებმაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში თავი გამოიჩინეს სანიმუშო ყოფაქცევითა და კეთილსინდისიერი შრომით.

შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში მსჯავრდებულის გადაყვანის საკითხს განიხილავს სასჯელის მოხდის ადგილზე არსებული რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო.

ჩვენი რესპუბლიკის ბუნების დაცვის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 11 მარტს მიიღო გრძანებულება „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“. ამ გრძანებულებით დადგენილია, რომ ნადირობა სათანადო ნებართვის უქონლად ან აკრძალულ ადგილებში, ან აკრძალულ ვადებში, აკრძალული იარაღით და საშუალებებით, თუ ეს ჩადენილია პირველად, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 20 მანეთამდე, მთელი ნანადირევის და სანადირო იარაღის ჩამორთმევით მათი ღირებულების აუნაზღაურებლად.

იგივე ქმედობა, ჩადენილი ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ, ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორას მანეთამდე, მთელი ნანადირევის და სანადირო იარაღის კონფისკაციით.

მასალებს იმ პირის მიმართ, რომელიც დაუშვა ამ გრძანებულების პირველი პუნქტის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესების დარღვევა, განიხილავს

**ᲙᲝᲛᲔᲣ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის

განხილვა მოხსენებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ"

დეპუტატ Ი. რ. ხვედელიანის სიტყვა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივმა კომისიამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. მან შეიტანა რესპუბლიკის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხები, უსაშიშრობის ტექნიკისა და შრომის დაცვის მდგომარეობა საქართველოს მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, სახანძრო დაცვის მდგომარეობა ზოგიერთ სამრეწველო ობიექტზე, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის საკითხები და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ დიდი წარმატებები მოიპოვა წარმოების განვითარებასა და ტექნიკური ბაზის სრულყოფაში. მთლიანად წარმოების მოცულობის გეგმის შესრულებასთან ერთად ათვისებულია მთელი რიგი ახალი ნაკეთობების, მანქანების, მოწყობილობის, აგრეთვე სახალხო მოხმარების საგნების წარმოება. გაუმჯობესდა აგრეთვე იმ ნაკეთობათა ხარისხი, რომლებსაც ჩვენი საწარმოები უშვებენ.

მაგრამ სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც. ყოველთვის როდი ითვალისწინებენ მოხმარებელთა მოთხოვნილებებს. ხშირად მრეწველობა უშვებს მოძველებული მარკებისა და მოდელების პროდუქციას, რომელიც შესაბამისად არ არის გაფორმებული და არ საღდება. ეს იწვევს მომხმარებელთა სამართლიან პრეტენზიებს, წარმომბს ბევრ რეკლამაციას.

მიუხედავად ამისა, საწარმოთა ხელმძღვანელი მთელ რიგ შემთხვევებში ცდილობენ შეიხარჩინონ მოძველებულ ნაკეთობათა წარმოება, რომელთა გასაღება შეზღუდული, ან მოითხოვენ დაუსაბუთებელ კაპიტალდაბანდებას ახალი პროდუქციის წარმოების ასათვისებლად.

მეორე მხრივ ისეც ხდება, რომ საკმაოდ არ სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნას. ამის შედეგად მრეწველობას უკვეთენ ნაკეთობებს, რომლებიც ჯეროვნად არ საღდება.

იმის გამო, რომ დროზე არ სწავლობენ ბაზრის მოთხოვნას, წარმოების დაგეგმვაში შეუსაბამობაა, რაც იწვევს ცალკეულ სახეობათა ნაწარმის ჩაწოლას, მაშინ როცა სხვა ნაწარმის ნაკლებობაა, ეს კი ზიანს აყენებს რესპუბლიკის საფინანსო მეურნეობას.

ყველა შესწავლილ საკითხზე კომისიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სამრეწველო საწარმოთა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

თბილისის მუშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. ე. მელაძის სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს ეს სესია იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რა დიდად ზრუნავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო თბილისს, ისევ როგორც მთელი საქართველოს, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, რესპუბლიკის დედაქალაქის კეთილმოწყობისათვის.

ამას დამაჯერებლად მოწმობს განუხრელი ზრდა კაპიტალდაბანდებისა ქალაქის მეურნეობის განვითარებაში. წინა ხუთ წელიწადთან შედარებით 1959-1963 წლებში ქალაქის მეურნეობაში დაბანდებულ იქნა 3,7-ჯერ მეტი სახსრები. წლითიწლობით სულ უფრო ღრმაში და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი. უკანასკნელ წლებში ეკაშნდა ახალი საცხოვრებელი მაისიანები.

ქალაქის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობაა შესრულებული მიმდინარე წელსაც. საკმარისია ითქვას, რომ განვლილ ხუთ თვეში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო გეგმა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით შესრულებულია 118 პროცენტით, კერძოდ საბინაო შენებლობაში — 124 პროცენტით, კომუნალურ მეურნეობაში — 129 პროცენტით, თბილისელთა დაყვანის ხაზით — 105 პროცენტით და სხვ.

წყალსადენის ქსელის სიმძლავრის გადიდების ღონისძიებათა შედეგად თბილისის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება შარშანდელთან შედარებით 11,3 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული აგრეთვე ქალაქის გაზიფიკაციისა და თბოფიკაციისათვის.

მაგრამ თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარებაში არის ორსებითი ხაკლოვანებები. მაგალითად, „მთავართბილისშენმა" გეგმა თუმცა მთლიანად შეასრულა, მაგრამ ვერ უზრუნველყო საცხოვრებელი ფართობის სიგანსტალიციოდ გადაცემის ხუთი თვის გეგმის შესრულება, კომუნალური ობიექტების შენებლობის გეგმა კი შესრულებულია მხოლოდ 43 პროცენტით. სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია, ირღვევა მიწისქვეშა კომუნიკაციების, ახალი ქუჩების გაკეთების სამუშაოთა გრაფიკი.

ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ახორციელებენ ქალაქის მეურნეობაში არსებულ ხაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტულ ღონისძიებებს.

ამხ. მელაძე სვამს საკითხს, რომ გამოიყოს დამატებითი სახსრები ქალაქის მეურნეობისა საჭიროებისათვის.

ორატორი აღნიშნავს, რომ ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულმა საბინაოსატროებმა, უწყებებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალაქის მეურნეობის განვითარების საქმეში.

დეპუტატ Ი. მ. გუაჩიძის სიტყვა

რესპუბლიკაში სასკოლო და კულტსაგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობა ყოველწლიურად ფართოვდება, რაც სახალხო განათლებისა და მეცნიერების შემდგომი წინსვლისა და მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების საწინდარია.

რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები დიდ ყურადღებას უთმობენ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს. სამშენებლო ორგანიზაციები, მიუხედავად მათი დიდი საწარმოო გეგმებისა საბინაო, სამრეწველო და სხვა მშენებლობის ხაზით, ძირითადად წარმატებით არომბეენ თავს ამ საქმესაც. შეიდწლეულის მარტო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში კაპიტალური დაბანდების ხარჯით აშენდა და ხელესპლოატაციოდ გადაეცა ხასკოლო შენობები 83 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელი აღზრდის 40 დაწესებულება, სკოლა-ინტერნატების 71 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საერთო საცხოვრებლები.

მუუხედავად დიდი წარმატებებისა, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ სასკოლო ბაზა მოწესრიგდეს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია სოფლის სკოლები. ოთახების ნაკლებობის გამო რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დღემდე არ არის ლაკვიდირებული ორცელიანი და ზოგ შემთხვევაში სამცელიანი სწავლა. ამავე დროს 23.100 კვადრატული მეტრი სასკოლო ფართობი სხვა ორგანიზაციებს და კერძო პირებს უჭირავთ. საქალაქო და რაიონული საბჭოები ზოგჯერ ვერ იჩენენ სათანადო ყურადღებას სასკოლო შენობათა არსებული ფონდების შენარჩუნების საქმეში, თაღის დროზე არ აწარმოებენ სარემონტო სამუშაოებს. ურიგდებიან იმ მდგომარეობას, რომ სკოლის შენობები ხშირად დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული.

შემდეგ ორატორი ეხება მასწავლებელთა საბინაო პირობების გაუმჯობესების საკითხს და აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არ დაწყებულა მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რაც მიმდინარე წლის გეგმით არის გათვალისწინებული. ჯერჯერობით კიდევ მოუგვარებელია მთის რაიონებისათვის სასკოლო შენობათა ტიპური პროექტების დამუშავება.

დეპუტატ შ. ე. შარტავას სიტყვა

აფხაზეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძლიერებამ ბევრი ფაქტიურად გაბალეს ბრძოლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1963 წელი) და თებერვლის (1964 წელი) პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

მრეწველობის მუშაკებმა შვიდწლეულის მეექვსე წელს გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაში. საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა 102,5 პროცენტით შესრულდა. საერთო პროდუქციის გამოშვების ზრდამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2,5 პროცენტი შეადგინა. ამ წარმატებათა მიღწევაში თავიანთი წვლილი მეტალის სოხუმის მშრომელებმაც, რომლებიც ეჯიბრებიან ბათუმისა და კიროვაკანის მშრომელებს.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად აფხაზეთის მიწდგრისა და პლანტაციის მშრომელებმა, ამბობს შემდეგ ამბ. შარტავა, გააჩაღეს შეჯიბრება ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების უხვი მოსავლის მოყვანისათვის მიმდინარე წელს. ჩინებული ტემპი განავითარეს მეჩაიეებმა. მათ უკვე მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 12.397, 6 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს 1.084 ტონით მეტია, ვიდრე მოკრიფეს გასული წლის შესაბამის პერიოდში.

დამაბულად შრომობენ მეთამბაქოეები. მათ გამოიყვანეს საღი ჩითილი და ახლა ამთავრებენ რგვას ღია გრუნტში.

მინდა შევეხო სოფლის მეურნეობის მშრომელთა საჭიროებებსაც. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იგრძნობა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, განსაკუთრებით ტრაქტორებისა და სატვირთო ავტომობილების სათადარიგო ნაწილების ნაკლებობა. საჭიროა მსუბუქი გუთნები ცოცხალი გამწევი ძალისათვის, რადგან მთიან ადგილებში არ არის ტრაქტორის გამოყენების შესაძლებლობა.

დეპუტატ დ. მ. მამულაძის სიტყვა

უკანასკნელ წლებში საქართველოში სოგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. გაფართოვდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი. აშკამად რესპუბლიკის ქალაქებში მოსახლეობას მომსახურებას უწევს 1.400-ზე მეტი საწარმო ობიექტი, სოფლად კი — 2.600.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები. რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და სოფელში საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა არსებული ქსელი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ზოგიერთ სოფელსა და დასახლებულ პუნქტში სრულიად არ არის ტახსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერავლო, შესაკეთებელი სახელოსნოები, ამბარი, სამრეცხაოები, საპარიკმახეროები და სხვა. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მათი მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების ათვისება; მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა რესპუბლიკაში, მაგალითად, შესრულებულია მხოლოდ 53 პროცენტით.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ვალდებულნი არიან ყურადღება მიაქციონ მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეს, სისტემატურად განიხილონ ეს საკითხი სესიებზე, გაძლიერონ კონტროლი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისადმი, გაუწიონ მათ სათანადო დახმარება.

ორატორი აყენებს წინადადებას, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს გადაეცეს სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობაც. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმის გაერთიანება და ერთი სპეციალიზებული ორგანიზაციისადმი დაქვემდებარება უთუოდ კარგი ნაბიჯი იქნება.

დეპუტატ ნ. გ. გოგელაურის სიტყვა

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები დაუცხოომლად იბრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ქიმიური ოდუსტრიის დაჩქარებული განვითარების შესახებ ამ პლენუმების მითითებათა განხორციელებამ ძოძოვეებულია გარკვეული წარმატებანი, განვლილი წლისა და მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში ოესპუბლიკის ქიმიურ მოეწველობაში მნიშვნელოვნად გადიდდა სიმძლავრეები. დეკემბრის პლენუმის მუშაობის დღეებში ფყუობრში ჩადგა კაპროლაქტამის წარმოება, გაფართოდა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი დახურული ელექტროლეკანი ბუატაფინის ფერომანგანუმის ქარხანაში. დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობა, ფთილრდება ბუთაისის ლითოფონის ქარხნის გაფართოება, ფართოვდება სინთეზური ძასალების ნაკეთობათა ქარხანა ნუღლიკიძეში და სხვ.

საგრძნობლად გადიდდა საწარმოთა მიერ ქიმიური ბასალების მოხმარება, განსაკუთრებით შესაძლებელია ეს მსუბუქ მრეწველობასა და მანქანათმშენებლობაში. გასული წლის სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო ფაბრიკებმა გააოუნეს 18 მილიონი მეტრი აკეტატური, ვისკოზისა და კაპრონის ბრეშმეთის ქსოგილები. წელს ასეთ ქსოგილებს ჩვენი ფაბრიკები გამოუშვებენ 20 მილიონ �ტრს ოეტს. მანქანათსამშენებლო მრეწველობის საწარმოებში ახლა ძრავალი ასეული დასახელებისა დეტალი მზადდება სინთეზური ბოჭკოებისა და პლასტმასისაგან.

რესპუბლიკის ქიმიური ინდუსტრიის გაფართოებას საშუალებას ძლევენ რაციონალურად გამოიყენოთ წარმოების ნარჩენები, რასაც დიდი ეკონომიური სარგებლობა მოაქვს. მაგალითად, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ცელულოზის წარმოებისა და ახმეტის საღებრი ქარხნის ნარჩენები გამოიყენების ბაზაზე შექმნილია ორი საწარმო, რომლებიც უმეტეს გავიტამინებულ საკვებ საფუარს.

სულ უფრო დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობა სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის ტექნიკურად ხელახლა შეიიაღლება და სრულყოფა, შესრულებულია დავალება მოძველებული კოაცერვაციის მანქანების, მექანიზმებისა და მოწყობილობის წარმოებიდან მოხსნის შესახებ. მიუხედავად ამისა, მეცნიერებისა და ტექნიკამ ძიღწევათა დახერგვის გეგმა სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მთლიანად ვერ შესრულდა.

დეპუტატ ნ. მ. ხომიზურაშვილის სიტყვა

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად ამაღლდა კოლმეურნეობათა ინიციატივა საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელძღვანელობის გაუმჯობესებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელებისათვის. გაუმჯობესდა საკოლმეურნეო დაგეგმვა და აღრიცხვა, გახმაკიცდა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, ამაღლდა ძიწათმოქმედების კულტურა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა სასოფლო-საძეურნეო კულტურების მოგლა-მოყვანის გაუმჯობესებაში, შემოსავლიანობა და ანაზღაურების ზრდის საქმეში. მიუხედავად ამისა, ზესტაფონის, სიღნაღისა და გუდაუთის საწარმოო სამართველოებში შემავალ კოლმეურნეობებში, რომლებსაც შეადგენენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ, ჯერ კიდევ არის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მოთხოვნათა დამახინჯება. ზესტაფონის საწარმოო სამმართველოს 40 კოლმეურნეობაში მოეწესრიგებელია საბუხალტრო აღრიცხვა, სწორად არ არის აღრიცხული პროდუქტები და მასალები და ამის შედეგად არის დანაკლისი. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ნელი ტემპით იხერგება შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმები.

შემდეგ ორატორი ეხება სოფლის მეურნეობის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებებს და აღნიშნავს, რომ მათგან მიყენებული ზარალი ხშირად მილიონობით მანეთს აღემატება. მავნებელთა და დაავადებათა მასობრივად გავრცელებას ხელს უწყობს მათთვის ხელსაყრელი კლიმატური პირობები და, რაც მთავარია, მათ წინააღმდეგ ბრძოლის არაეფექტური ღონისძიებანი. სათანადო სიმაღლეზე არა დგას პროგნოზისა და სიგნალიზაციის პუნქტების მუშაობა, რაიონები საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილი შხამქიმიკატებით და შესაფერი აპარატებით.

განსაკუთრებით საჭიროა პირად სარგებლობაში არსებული ნარგავების დაცვა სოფლის მეურნეობის მავნებლებისაგან, ვინაიდან მეტწილ შემთხვევაში ისინი არიან მავნებელთა გავრცელების კერები.

დეპუტატ ა. ი. კოკლატაძის სიტყვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებსა ნათლად არის მოცემული სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგის ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაჭრა უზრუნველყოფს ცხოვრების ყველაზე ძღალ დონეს, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. შვიდწლეულის გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში გამოჩეული წვლილი შეაქვთ აჭარის მშრომელებს. შემჭიდროებულ ვადებში დამთავრდა საგაზაფხულო საოფლო-სამეურნეო სამუშაოები. წარმატებით მიმდინარეობს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა. უკვე მოკრეფილია 14 ათასი ტონა ფოთოლი, რაც წლიური გეგმის ნახევაროზე მეტია. ავრეთვე შესრულდა საყოფეინე მასალის და უხეში ჩაის ფოთლის დამზადების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმები. ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 8.500 ტონა საყოფეინე ხედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ათასი ტონისა.

აჭარის ავტონომიური ორგანიზაცია გარკვეულ მუშაობას აწარმოებს სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციისათვის. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ეკონომიფიცირებულ სუსტი კოლმეურნეობების გაძლიერებისათვის. ამჟამად 22 მძლავრი კოლმეურნეობა შეფობას უწევს ხულოსა და ქედის რაიონების ეკონომიურად სუსტ და ჩამორჩენილ მეურნეობებს.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია აჭარის მრეწველობამ. მიმდინარე წლის ხუთი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება სამრეწველო საწარმოებმა 106 პროცენტით შეასრულეს.

საყოველთაო აღიარება დაიმსახურა ბათუმის მრეწველობის პროდუქციამ, რომელიც უცხოეთშიც იგზავნება. ესენია ჩაისა და კვების მრეწველობისათვის საჭირო მანქანები, წყალქვეშაფრთიანი ეტალონები, ნავთობპროდუქტები, ელექტროკერები, კოფეინი და სხვა ნაწარმი.

ქალაქში ფართო გაქანება მიიღო კომუნისტური შრომის მოძრაობამ. კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელისათვის იბრძვის 18 ბრიგადა და ქარხანა, 97 საამქრო, 74 უბანი, 144 ბრიგადა.

დეპუტატ თ. ე. ბელტიხინის სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივმა კომისიამ ადგილობრივი აუტანელის დამბარებით შეისწავლა საქართველოს სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის საკავშირო ორგანიზაციებმა დიდი და საერიოზული მუშაობა გასწიეს მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის, იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ არის ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

კაპიტალურმა დაბანდებამ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში 1964 წლის 5 თვის მანძილზე შეადგინა 2.420 ათასი მანეთი, რაც 56 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში აშენდა და ამუშავდა ახალი უნივერსალური მაღაზიები, კაფეები, რესტორანები და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოები.

ინერგება ვაჭრობის პროგრესული მეთოდები, ხორცეულდება სავაჭრო ქსელის სპეციალიზაცია.

მიმდინარე წლის 5 თვის მანძილზე მოსახლეობას გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4 მილიონი მანეთით მეტი სასურსათო და სამრეწველო საქონელი მიეყიდა. წარმატებით სრულდება მიმდინარე წლის დავალებანი საზოგადოებრივი კვების დარგში.

მაგრამ მოსახლეობის საჯაჭრო მომსახურებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევები. რესპუბლიკის საქონელბრუნვის 5 თვის გეგმა მხოლოდ 95,7 პროცენტით შესრულდა.

საქმე ის არის, რომ სამრეწველო საწარმოები, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციები არ გარდაქმნილან ღღეკანდელი დღის მოთხოვნილებათა შესაბამისად, მოქნილად ვერ მუშაობენ. სავაჭრო-სასაწყობო ქსელში დაგროვდა საქონლის დიდი ზედმეტობელი ნარჩენები. მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ადგილი მოსახლეობის ახალი ბოსტნეულითა და ხილით მომარაგებაში.

დეპუტატ ა. ა. ასტვაცატუროვას სიტყვა

თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისნის" კოლექტივი ჩაბმულია შეჯიბრებაში მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ბაქოსა და ერევნის მეფეხსაცმელეებთან საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ჩვენ სისტემატურად გუზიარებთ ერთმანეთს მუხლების გამოცდილებას, ვეხმარებით ერთმანეთს წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებაში.

გაერთიანებამ წარმატებით შეასრულა 1963 წლის პროდუქციის გამოშვების დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 1.274 ათასი ძაბეთის ფეხსაცმელი.

ამას ხელი შეუწყო იმან, რომ განხორციელდა ათეული რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი.

გაერთიანების რიტმულ მუშაობას კვლავ მნიშვნელოვნად უშლის ხელს ტყავის საქონლითა და სხვა ნედლეულით მისი ცუდად მომარაგება. რესპუბლიკის ტყავის ქარხნებმა გასული ხუთი თვის მახძილზე გაერთიანებას დაკაკლეს ქრომისა და ხამი ტყავსაქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამის შედეგად გაერთიანებამ ვერ შეასრულა მიმდინარე წლის 5 თვის დავალება. გაერთიანების კოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავი დააღწიოს ჩამორჩენას და მოწინავე საწარმო გახდეს.

მინდა შევეხო საწარმოს კოლექტივის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობას, კულტურულ მომსახურებას. გთხოვთ დაგეგეზმაოთ საერთო საცხოვრებლების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და არსებული საერთო საცხოვრებლის რემონტის საკითხის გადაჭრაში. რაიონში, სადაც არის გაერთიანება „ისნის" მეთაური საწარმო, არ არის არც ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

„ისნის" მეფეხსაცმელეთა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის დავალება 28 დეკემბრისათვის შეასრულოს. გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 70 ათასი წყვილი ფეხსაცმელი. ამ საპატიო ვალდებულებას შეასრულებთ.

დეპუტატ დ. ვ. გელაშვილის სიტყვა

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენებაში ნათლად იყო აღნიშნული, თუ ოა ღონისძიებები ხორციელდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გაგეთათრეის გეგმის შესრულებისათვის. ძიდდა გიამოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთ მტკივნეულ საკითხზე.

ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ხარისხზე მოსახლეთაის გაბრდილ მოთხოვნილებას მსუბუქი მრეწველობის მიერ გაოომგებული საქონელი, განსაკუთრებით სამკეოველო, საფეიეო და სატრიკოტაჟო ნაწარმი. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ ვერ უზრუნველყო საქართველოს სსრ ჭიისსტროა საბჭოს დადგენილების შესრულება კარგი ხარისხოვანი საკონლის გაოოსვების შესახებ.

მიუხედავად არახელსაყოფილი კლიმატური პირობისა, ოესპუბლიკის საწარმოო სამმართველოებს ბევრა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ აგროვადებში ხარისხიანად დაამთავრა სეგაზაფხულო სამუშაობი. ამავე დროს საგაზაფხულო თესვაში ჩამორჩიენ აფხაზეთის ასსრ, ცხა

„მე ვხედავ მზეს“ — მახარაძელთა სპექტაკლი

გუშინ მახარაძის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე პირველ საგასტროლო სპექტაკლად წარმოადგინა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“ (რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ლორთქიფანიძე).

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა.

დღეს მახარაძელები თბილისელ მაყურებელს ორ სპექტაკლს უჩვენებენ — „მე ვხედავ მზეს“ (დილით) და „მაცი ხვიტიას“ (საღამოს).

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მეგობროგის საღამო

თბომავალმა „აფხაზეთმა“ ღუზა ჩაუშვა ბათუმის ნავსადგურში. ამჯერად მან ჩამოიყვანა ტურისტთა დიდი ჯგუფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. გერმანელი ტურისტები იყვნენ ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარეში, დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

სახელმწიფო თეატრში გაიმართა მეგობრობის დიდი საღამო.

სტუმრებს განსაკუთრებით მოეწონათ პიონერთა საოლქო სახლის ანსამბლ „მერცხალის“ კონცერტი, რის აღსანიშნავად აკადემიკოსმა შემსრულებლებს საჩუქრად გადასცეს ქალაქ ლაიპციგის გერბი და სუვენირები. ბათუმელმა პიონერებმა კი სტუმრებს მიართვეს ქართველი მხატვრის ფირმანიშვილის სურათების რეპროდუქციები.

ნ. პავლოვა.

„ამური“ აფენში

უვარელი. (საკ. კორ.). აფენის კოლმეურნეობა საქართველოში (თავმჯდომარე ს. ცოტაძე) სოფლის ბოლოს 1,5-2 ჰექტარი ფართობის წყალსატევი მოაწყო, სადაც თევზ „ამურის“ 50 ათასი ცალი ლისფიტა გაუშვეს. „ამური“, რომელიც წყალმცენარეებით იკვებება, ნორმალურად იზრდება.

აფენელი მეთევზეები წყალსატევებში მალე კობრსაც მოაშენებენ. მომავალში წყალსატევების ფართობი თხუთმეტ ჰექტარს გადაჭარბებს.

ჩვენი სტუმრების გასტროლები

კვლავ თბილისში

გუშინ თბილისში დაიწყო კიროვაკანის ოვანეს აბელიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები. სომეხი მსახიობები ამჯერად მეორედ ჩამოვიდნენ საქართველოში— პირველად სტუმრად იყვნენ 1962 წელს. თბილისის შაუმიანის სახელობის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრში, სადაც სომეხი მსახიობები სპექტაკლებს მართავენ, სულ ნაჩვენები იქნება ათი წარმოდგენა. კიროვაკანელები თბილისში 10 ივლისამდე დარჩებიან.

პირველ სპექტაკლად გუშინ კიროვაკანელებმა მაყურებელს უჩვენეს ა. გულაკიანის პიესა „განთიადისას“.

„კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. აპმაპარიანმა თქვა:

— ჩვენს საგასტროლო რეპერტუარშია თეატრის ახალი ნამუშევარი — პრემიერა აზერბაიჯანელი მწერლის მირზა იბრაგიმოვის პიესისა „სოფლელი გოგო“, ქართველი დრამატურგის კ. ბუაჩიძის პიესა „ეზოში ავი ძალია“, აგრეთვე რუს და საზღვარგარეთელ დრამატურგთა პიესები.

მწყემსი გადაარჩინეს

ფრუნზე, 19 ივნისი (საკადესის კორ). შინაური იაკები საშინელი საფრთხის დროს სიმაგრედ გადაიქცნენ თავიანთი მწყემსისათვის.

კოლმეურნეობის იაკების ჯოგმა, რომელსაც ტიანშანელი მწყემსი სალიკ ტურდუკოფოვი მიერეკებოდა ალპიურ საძოვრებზე, მიიპყრო მგლების ხროვის ყურადღება. რა უნდა ექნა უიარაღო მწყემსს ოერთმეტი მშიერი მტაცებლის წინააღმდეგ? იგი ჩადგა ჯოგის ცენტრში, ხოლო ცხოველებმა მჭიდრო რკალი შექმნეს მის გარშემო და მგლებს თავიანთი დიდი რქები დაახვედრეს. მგლები იღრინებოდნენ, ხან აქეთ ეცემოდნენ ხან იქით. ერთი, ყველაზე გაბედული წინ გავარდა. მაგრამ რქებს წამოეგო და გაფატრული მუცლით კლდეს მიასკდა. მგლების ხროვა ღმუილით გაიქცა. ცოცხალი სიმაგრე საიმედო აღმოჩნდა.



მშვენიერი ბუნება ადამიანს აღაღებს. და ეს პატარა გოგონაც პეპელას დასდევს ცვრიან ბალახზე ხრამის ხეობის ტყიან ნაპირთან.

ფოტო ბ. დადვაძისა.

მეგობარი, მასწავლებელი

ა. შ. მელიქ-ფაშაევის ხსოვნას

წავიდა, მაგრამ ჩვენს გულში მარად იცოცხლებს ბრწყინვალე მუსიკოსი, ამ საუკუნის ერთ-ერთი უნიჭიერესი დირიჟორი ალექსანდრე შამილის-ძე მელიქ-ფაშაევი.

რა დამავიწყებს ამ შესანიშნავ ოსტატს, დიდი მხატვრული გემოვნების შემოქმედ, უადრესად გულისხმიერ ადამიანს. მელიქ-ფაშაევმა მსოფლიო სახელი მოიხვეჭა, როგორც მაღალი კლასის ხელოვანმა. იგი მთელი 30 წლის მანძილზე იდგა სსრ კავშირის დიდი თეატრის სადირიჟორო პულტთან. ორი ათას ხუთასზე მეტი საოპერო სპექტაკლს უდირიჟორა მან ამ სახელოვან თეატრში.

თბილისში აღიზარდა ეს დიდბუნებოვანი მუსიკოსი. 1929 წელს იგი პიანისტად მუშაობდა გამოჩენილ ქართველ დირიჟორ ივანე ფალიაშვილთან თბილისის საოპერო თეატრში, ამავე დროს სადირიჟორო კლასზე სწავლობდა სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

1931 წელს ი. ფალიაშვილმა ჯერ კიდევ ახალგაზრდას სადებიუტოდ მიანდო ვერდის ოპერა „აიდას“ დირიჟორობა. გამოცდა ჩინებულად ჩაუბარა. ამავე ოპერით წარდგა იგი მოსკოვში დიდი თეატრის სცენაზე და, პუტანთან დადგა თუ არა, დახურა პარტიტურა, ზეპირად იდირიჟორა მთელი ოპერა, თავისებურად გახსნა ბევრი ნიუანსი, განცვიფრებაში მოიყვანა შემფასებელი კომისია.

პირადად მე ორ ოპერაში მომიხდა მელიქ-ფაშაევთან მუშაობა. „კარმენში“ ვმღეროდი მორალესის, ხოლო „შოთა რუსთაველში“ ბმდული არაბის პარტიებს. მაშინ 23 წლის ახალგაზრდა ვიყავი, გზას ვიკაფავდი. ნიჭიერმა ოსტატმა დიდი გემოვნებით დამასვენინა პარტიები, მასწავლა, ამიხსნა, თუ როგორ ჩაეწვდომოდი სასიმღერო პარტიის სიღრმეს. განსაკუთრებული მოკრძალებით, მზრუნველობით მეპყრობოდა, მამხნევებდა. სისტრულს მმატებდა მისი შთამაგონებელი სიტყვები.

მელიქ-ფაშაევი უაღრესად თავმდაბალი, მაგრამ ძალზე მომთხოვნი იყო. არავითარი კომპრომისზე არ წავიდოდა, თუ კომპოზიტორისა ჩანაფიქრს გადაუხვევდი. მან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერალი ვაძოიყვანა ფართო შემოქმედებით სარბიელზე. დიდია მელიქ-ფაშაევის ღვაწლი ჩვენი საყვარელი მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის მუსიკალურ აღზრდაში.

დიდ თეატრში ბევრჯერ ვიყავი მიწვეული სასიმღეროდ. გამოვსულვარ „რიგოლეტოში“, „დემონში“, „ჯამბასებში“. ყველა ამ ოპერას მელიქ-ფაშაევი დირიჟორობდა. სცენაზე საჯაროდ გამოსვლამდე ხშირად გამომიძახებდა და მამეცადინებდა, მეუბნებოდა — არ შევარცხვინოთ თბილისის თეატრიო.

ახლა სამარადისოდ სძინავს მუსიკის ჯადოქარს. დავკარგეთ დიდი ხელოვანი, გულისხმიერი აღმზრდელი, ხალხის სიყვარულით შთაგონებული ბეშმარიტი შემოქმედი, ბრწყინვალე ამაგდარი.

მელიქ-ფაშაევის სახელს მუდამ გულით ახსენებს ყველა, ვისაც უნახავს მისი უბადლო დირიჟორობა.

კეტრე ამირანაშვილი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

მადრიდში

თქვენთვის, ფეხგურთის გულშემატკივრებო!

მადრიდი, 20 ივნისი. (საკადესის სპეც. კორ. ა. სტაროდუბი). მალე ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, უფრო ზუსტად — კვირას 20 საათსა და 25 წუთზე მოსკოვის დროით დაიწყება გადამწყვეტი მატჩი ევროპის თასზე ფეხბურთში. ესპანეთის გუნდი შეხვდება სსრ კავშირის ნაკრებს. მატჩი ორ საათით უფრო ადრეა დანიშნული ვიდრე ჩვეულებრივ ინიშნება ხოლმე მადრიდში. როგორც ჩანს, თამაშის მომწყობებს იმედი აქვთ, რომ ამით გაზრდიან ესპანელ მოთამაშეთა შანსებს, რომლებიც უფრო მიჩვეული არიან სიცხეში თამაშს, ვიდრე ჩვენი სპორტსმენები.

სსრ კავშირის ნაკრები კვლავ გამოცანად რჩება ესპანელებისათვის და ეს მათ საკმაოდ აშფოთებთ. მათ მიაჩნიათ, რომ ნახევარფინალურმა მატჩმა დანიელებთან ვერ გამოააშკარაავა საბჭოთა გუნდის მთელი შესაძლებლობა. რა სიურპრიზებს უნდა მოელოდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებისაგან და განზრახული აქვთ თუ არა მის მწვრთნელებს როგორმე გააძლიერონ გუნდი? — ეს კითხვები აქ ბევრ ვინმეს აშფოთებს. ჩვენი ნაკრების შემადგენლობა მატჩის დღეს გამოცხადდება. მოსალოდნელია, რომ იგი ისეთივე იქნება, როგორიც 17 ივნისს იყო. ისიც შეიძლება, რომ ერთი-ორი მოთამაშე შეცვალონ.

ჩვენი სპორტსმენები კარგად გრძნობენ თავს. პარასკევ საღამოს, მადრიდში ჩამოსვლის შემდეგ მათ ივარჯიშეს „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე, სწორედ იმ სტადიონზე, რომელზეც 21 ივნისს მოუხდებათ თამაში. გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილებზე გამოაქვეყნეს დიდი სტატიები ჩვენი. გუნდის შესახებ და ბევრი ფოტოსურათი, რომლებიც ვარჯიშის დროს გადაიღეს. სტადიონმა ჩვენზე ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე ბარსელონაში. მინდორი კარგია, მაგრამ მაინც ბარსელონის მინდორზე უარესი.

„ბერნაბეუს“ სტადიონზე 120 ათასი ადგილია (სხვა ცნობებით აქ 28 ათასით ნაკლებია, — ასეთ საწინააღმდეგო ცნობებს ჯერ კიდევ ბევრჯერ ვიგებ). ეს ადგილები ძალიან ფართოა, ადამიანი ადვილად ეტევა. ეს ადგილები ბარსელონაში, როგორ ეტევა ეს ადამიანი ასეთ ადგილებში, ალბათ, ეს ადამიანი ეტევა ეს ადგილები ბარსელონაში